შენიშვნები და კომენტარები

მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

www.greenalt.org

მუხრანის ველის სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშებზე

15 ოქტომბერი, 2026

1. მუხრანის ველი, როგორც სივრცითი დაგეგმარების ერთეული

მუხრანის ველის სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციის 2.3.2 და 2.3.3 ქვეთავები ეხება გეგმის მარეგულირებელ კანონდებლობას, სადაც ავტორები ცდილობენ, დაასაბუთონ მუხრანის ველის, როგორც სივრცითი დაგეგმარების ერთულის გამოყოფის საჭიროება, თუმცა, ამ ამოცანას ვერ ასრულებენ.

კონცენფციაში მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნულია, რომ „...მუხრანის ველის სდგ, რომელიც მოქმედებს მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების ფარგლებში, მულტიმუნიციპალურ დონეზე, ეროვნულ და რეგიონულ სტრატეგიებს გარდასახავს თანმიმდევრულ, ადგილმდებარეობაზე მორგებულ ჩარჩოდ. ის კანონმდებლობასა და მის აღსრულებას შორის არსებულ ხარვეზს ავსებს მიწათსარგებლობის წესების დაზუსტებით, ურთიერთსაწინააღმდეგო მარეგულირებელი შეზღუდვების ურთიერთმორგებით და ველზე არსებულ 23 დასახლებაში პრაქტიკულად განხორციელებადი გადაწყვეტილებების მხარდაჭერით.“

არც კონცეფცია და არც სკოპინგის ანგარიში არ განმარტავს/ასაბუთებს, რატომ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილებები, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალური სივრცითი დაგეგმარების გეგმების შემუშავების შესახებ. რატომ არის შეუძლებელი კონცეფციის ანგარიშის 2.5 ქვეთავში აღწერილი გამოწვევების (რომლებიც ძალზე ზერელადაა აღწერილი) მცხეთისა და კასპის მუნიციპალური სივრცითი დაგეგმარების გეგმების საშუალებით გადაჭრა? განსახილველი დოკუმენტები, ასევე, არ წარმოაჩენენ „მუხრანის ველის“ როლს ცალ-ცალკე, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების განვითარების კონტექსტში.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ „...გეგმის საპროექტო საზღვრების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მომიჯნავე ტერიტორიებზე მიმდინარე და დასრულებული გეგმარებითი დოკუმენტების გეოგრაფიული საზღვრები, მოხდა ურთიერთგადაფარვის თავიდან

აცილება და ამასთანავე ამავე გეგმარებით დოკუმენტებთან უწყვეტობისა და შესაბამისობის უზრუნველყოფა“. მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტყვიერი განმარტება ნაჩვენები იყოს ვიზუალურადაც.

2. განვითარების ალტერნატიული სცენარები

გეგმის კონცფციაში პრიორიტეტულად მიჩნეულია მუხრანის ველის „დაბალანსებული განვითარების“ სცენარი. ამასთან, ამ სცენარის ფარგლებში, გეგმის კონცეფციის 5.1 ქვეთავში (განვითარების ტერიტორიების ტევადობის შეფასება) მოცემულია განვითარების პოტენციური არეალები და მათი სავარაუდო ფართობები: „ეკონომიკური განვითარების მიზნით, სასაწყობო-ლოგისტიკური და ინდუსტრიული ფუნქციებისთვის...“ - დაახლოებით 700 ჰექტარი; „საცხოვრებელი განვითარებისთვის“ - 2,400 ჰექტარი. გარდა ამისა, 5.2 თავში დადგენილია 7-კილომეტრიანი გზისა და ორი ახალი ხიდის მშენებლობის საჭიროება.

სგშ-ს სკოპინგის ანგარიშის მე-5 თავში (ალტერნატივების განხილვა) შემოთავაზებულია განვითარების ოთხი ალტერნატიული სცენარი: პირველი - გეგმის კონცეფციაში ნახსენები „დაბალანსებული განვითარების“ სცენარი; მეორე - „თავდაცვითი“, მესამე - „აგრესიული“ და მეოთხე - „მიმდინარე ტენდენციები“. პრიორიტეტულად მიჩნეულ პირველ სცენარში (ალტერნატივაში) დადგენილია სხვადასხვა სახის მიწათსარგებლობის ფართობის ცვლილებები.

- გეგმის კონცეფციასა და სკოპინგის ანგარიშში მოცემული განვითარების პრიორიტეტული სცენარის - “დაბალანსებული განვითარების“ - მიწათსარგებლობის ფართობის ცვლილებები არ ემთხვევა ერთმანეთს. გეგმის კონცეფციაში „სასაწყობო-ლოგისტიკური და ინდუსტრიული ფუნქციებისთვის“ გათვალისწინებულია 700 ჰექტარის გამოყოფა, სკოპინგის ანგარიშში კი ეს ფართობი 869.51 ჰა-ს შეადგენს. კონცეფციის ანგარიში „საცხოვრებელი განვითარებისთვის“ 2,400 ჰექტარის გამოყოფას ითვალისწინებს, სკოპინგის ანგარიში კი მნიშვნელოვნად ნაკლებს - მხოლოდ 118.85 ჰა-ს. გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში საუბარია ზოგიერთი სახის მიწათსარგებლობის ფართობის მომავალში შემცირებაზე (ლანშაფტური და სატყეო ტერიტორია 42.1 ჰა-ით, ხოლო სოფლის მეურნეობის ტერიტორია 948.7 ჰა-ით მცირდება პრიორირეტულ სცენარში), გეგმის კონცეფცია კი, არ აღწერს ამ შემცირებებს და შესაბამისად, ასეთი ცვლილებების მიზეზებსა და პროგნოზირების მეთოდებს.

- აქვე, ყურადსაღებია, რომ სცენარების/ალტერნატივების რუკები არ იკითხება, ფართობების ცვლილებების სივრცითი აღქმა პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისად, შედარებაც.

- განვითარების ალტერნატიულ სცენარებში არ არის განხილული ქვე-სცენარები; განსახილველ დოკუმენტებში არ არის მოცემული განუხილველობის მიზეზები.

- მნიშვნელოვანია, გეგმის შემუშავების ამ ეტაპზე ნათლად დადგინდეს დეტალიზაციის ხარისხი: რას განსაზღვრავს გეგმა - განვითარების არეალებს, თუ კონკრეტულ ახალ განვითარებებს - ობიექტებს, პროექტებს (მაგ., ზემოთ აღნიშნულ გზისა და ხიდების მშენებლობის პროექტებს)? თუ გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული პროექტების ადგილმდებარეობაზე გადაწყვეტილების მიღებასაც, მაშინ ალტერნატივები ამ პროექტებისთვისაც უნდა იყოს განხილული.

3. **საზოგადოების მონაწილეობა**

იმისათვის, რომ მოქალაქეებს (განსაკუთრებით, პირველი რიგის დაინტერესებულ მხარეებს - როგორც მათ გეგმის კონცეფცია მოიხსენიებს) შეექმნათ ნათელი წარმოდგენა მიწათსარგებლობის ცვლილებებზე (სხვაგვარი მიზნობრივი გამოყენების და შეზღუდვების შესახებ) და მათ შეძლონ ინფორმირებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აუცილებელია, რომ მაქსიმალურად დეტალურად, სიტყვიერად აღიწეროს როგორც არსებული ვითარება, ისე დაგეგმილი ცვლილებები (ყველა შემოთავაზებული სცენარი) და ისინი არ იყოს მოცემული მხოლოდ რუკაზე.

რუკის წაკითხვა და სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ ტექნიკურ და სამართლებრივ დოკუმენტს, როგორიცაა სივრცითი დაგეგმარების გეგმა. ჩვეულებრივ, რიგით მკითხველს, ხშირად, უჭირს რუკაზე გამოსახული ერთეულების რეალურ სივრცეში გადაყვანა და მანძილებისა და ფართობების ზუსტად აღქმა. გეგმარებით რუკებზე გამოყენებული სპეციფიკური სივრცითი სიმბოლოები, ხაზების სისქეები, შტრიხები და ფერების კოდები, ქალაქთგეგმარებითი ან არქიტექტურული განათლების გარეშე, ძნელად გასაგებია. მხოლოდ რუკის ვიზუალური დათვალიერებით მოქალაქე ვერ მიხვდება, რას ნიშნავს ესა თუ ის ზონალური კოდირება მისი კერძო საკუთრებისთვის ან გარემოსთვის.

გარდა ამისა, ვინაიდან საზოგადოებისთვის განსახილველად გამოქვეყნებული ინფორმაცია პრაქტიკულად სრულად ციფრულია, გეგმის შემუშავებისა და სგშ-ს მომდევნო ეტაპებზე, გასათვალისწინებელია ციფრული და ტექნოლოგიური ბარიერები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეები აწყდებიან, როდესაც მათ სურთ (და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს) სივრცის დაგეგმარების და გარემოსდაცვითი შეფასების სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2025) და მსოფლიო ბანკის (2025) თანახმად, საქართველოში, კომპიუტერით შინამეურნეობების მხოლოდ 58%-ია უზრუნველყოფილი (სოფლად - 46%), ხოლო სოფლის მოსახლეობა ძირითადად მობილურ ინტერნეტს იყენებს. სმარტფონის მცირე ეკრანზე რთული კარტოგრაფიული დეტალებისა და ფერების გარჩევა ფიზიკურად შეუძლებელია. ამავე ორგანიზაციების თანახმად, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 91%-ს (სოფლად - 97%-ს) არასდროს უსარგებლია სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებით ინფორმაციის მოსაპოვებლად, რაც ადასტურებს, რომ საზოგადოება არ არის მზად ტექნიკური დოკუმენტების ციფრული ფორმატით ასათვისებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოქალაქეთა ინფორმირებისთვის და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, კარტოგრაფიულ მასალასთან ერთად, გამართული ქართულით(!), მარტივ, საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე, დეტალური ტექსტური განმარტებების გაკეთება როგორც გეგმაში (კონცეფციაში), ისე სგშ-ში (სკოპინგის ანგარიშში). გარდა ამისა, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ინტერნეტთან ან ტექნიკასთან წვდომა არ აქვთ, აუცილებელია განსახილველ დოკუმენტების ბეჭდურ ვერსიებზე, ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.